



CERITINIB - ZYKADIA®

რა არის ZYKADIA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ცერითინიბი	150 მგ-იანი კაფსულა, ცისფერი და თეთრი  

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.
თქვენს შემთხვევაში არის მგ/დღეში, ანუ 150 მგ-იანი კაფსულა დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე.
ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, გახსნისა და განზავების გარეშე.
უნდა მიიღოთ ფიქსირებულ დროს, კვებისას.
თუ დაგავიწყდათ მიღება: მიიღეთ 12 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, საკვებთან	  
უწყვეტლივ	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.
მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.
გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა
მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ კონტროლს (სისხლის ანალიზი ღვიძლის ფუნქციის, კალიუმის, სისხლში შაქრის დონის მონიტორინგისთვის) და კლინიკურ კონტროლს (არტერიული წნევის, ელექტრო-კარდიოგრამის მონიტორინგი).
კონტრაცეფცია
ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (არტერიული წნევა, ელექტროკარდიოგრამა).
მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
ZYKADIA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.



მაგალითი: მოერიდეთ გრეიფრუტის, კრაზანას, ბოლდოს, ფუკუსის, აზიური ჟენშენის, სევილიური ფორთოხალის, პასიფლორასა და ბაბუანჯერას მიღებას ZYKADIA®-თან ერთად

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, ღებინება, ტკივილები მუცლის არეში, წონისა და მადის დაკარგვა, კუჭის შეკრულობა, მჟავა რეფლუქსი სისხლის ანალიზის ანომალიები: ღვიძლის ენზიმების მატება, კრეატინინის შემცირება, (თირკმლის ფუნქცია) და ჰემოგლობინის შემცირება (ანემია). სხვა: გამონაყარი, დაღლილობა ხედვის დარღვევები: ბუნდოვანი ხედვა, დისკომფორტი სინათლეზე
ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება	ჰიპერგლიკემიის რისკი, გაძლიერებული მეთვალყურეობა დიაბეტიანი პაციენტებისთვის
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში. > კუჭში გასვლა კვირაში 3-ზე ნაკლებჯერ ფილტვების არეში დარღვევების მაჩვენებელი სიმპტომები > დიდხანსი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება ჰიპერგლიკემიის მაჩვენებელი სიმპტომები > სმის, ჭამისა და მოშარდვის დიდი და ხშირი სურვილი, რომელიც უკავშირდება დაღლილობას გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები > სუნთქვის უკმარისობა, ენერგიის ნაკლებობა, თავბრუსხვევა > ფეხების შეშუპება (შებერილობა) > ჩალურჯებული ტუჩები ან კანი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლოთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების ან შეშუპების დროს (ფეხების შებერილობა)
თვალეები	მოერიდეთ საკონტაქტო ლინზების ტარებას მოერიდეთ მანქანის მართვას დაბალი განათების პირობებში
კუჭის შეკრულობა	კუჭ-ნაწლავის ტრანზიტის გასაუმჯობესებლად, დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით: სიარული, ბალში მუშაობა, ცურვა, ველოსიპედი, სპორტი და ა.შ.
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
დაღლილობა	ამჟობინეტ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებალეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალბოჭკოვან საკვებს. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.

გულისრევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წონის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელი კვებას“.
შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
ღვიძლისა და პანკრეასის დარღვევები	მოერიდეთ ალკოჰოლის მოხმარებას.

